სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N07/025

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, **სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი”**, შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად”**, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **რუსუდან თევზაძის** მიერ, და მეორე მხრივ **ი.მ. რეზო ღუღუნიშვილი** შემდგომში წოდებული **„მიმწოდებელად”**, ცალ-ცალკე წოდებული როგორც **„მხარე“**, ხოლო ერთობლივად **„მხარეები“**, 2015 წლის 17 აგვისტოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის, „ა)“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ მე-3 მუხლის საფუძველზე ელექტრონულად ვდებთ და ვადასტურებთ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით წინამდებარე **„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას”** შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1 **„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება”** (შემდგომში **„ხელშეკრულება”**) - ნიშნავს **„შემსყიდველსა“** და **„მიმწოდებელს“** შორის ელექტრონულად გაფორმებულ **„ხელშეკრულებას“,** დადასტურებულს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

1.2 **„ხელშეკრულება” - ელექტრონული დოკუმენტი,** სადაც ელექტრონული ფორმითაა შენახული ინფორმაციისა ან/და მონაცემთა ერთობლიობა.

1.3 **„კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა“** - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება.

1.4 **„ელექტრონული შტამპი“** - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება.

1.5 **„ხელმომწერი”** - ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ შესაბამისად ელექტრონულ დოკუმენტს ელექტრონულად აწერს ხელს.

1.6 **„შტამპის დამსმელი“** - იურიდიული პირი, რომელიც ელექტრონულ დოკუმენტზე ელექტრონულ შტამპს ქმნის. „იურიდიული პირი“ გულისხმობს აგრეთვე ადმინისტრაციულ ორგანოს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას, არარეგისტრირებულ კავშირს, ამხანაგობას.

1.7 **„ელექტრონული ხელმოწერა**“ - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება.

1.8 **„საქონელი“** - ნებისმიერი სახისა და აღწერილობის ქონება (გარდა უძრავი ქონებისა), როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე საქონლის მიწოდების **„თანმდევი მომსახურება“,** თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას.

1.9 **„სამშენებლო სამუშაო“** (შემდგომში – **„სამუშაო“**) - შენობის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, ნგრევასთან, რემონტთან ან განახლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო (მათ შორის, სამშენებლო მოედნის მოწყობა, გრუნტის ამოღება, შენობის ან ნაგებობის აგება-აშენება, აღჭურვილობის მონტაჟი, მოპირკეთება და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მშენებლობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები), აგრეთვე მშენებლობის თანმდევი მომსახურება, როგორიცაა ბურღვა, გეოდეზიური სამუშაოები, კოსმოსური და აეროგადაღება, სეისმური კვლევა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ანალოგიური მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება სამშენებლო სამუშაოს ღირებულებას.

1.10 **„მომსახურება”** - შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა.

1.11 **„დანართი N1“** - *(შემდგომში - ფასების ცხრილი)* **„ხელშეკრულების“** დანართი, რომელშიც მოცემულია **„სამუშოების“** დასახელებ(ები)ა, მათი რაოდენობ(ები)ა, ერთეულის ფას(ებ)ი და **„სამშენებლო სამუშოების”**

მთლიანი ღირებულებ(ებ)ი. ფასების ცხრილი წარმოადგენს ამ **„ხელშეკრულების“** განუყოფელ ნაწილს და განიხილება წინამდებარე **„ხელშეკრულებასთან“** ერთად.

1.12 **,,ხელშეკრულების ღირებულება”** ნიშნავს წინამდებარე **„ხელშეკრულების“** 4.1 მუხლში მითითებულ თანხას, რომელიც **„შემსყიდველმა“** უნდა გადაიხადოს **„მიმწოდებელის“** მიერ **„ხელშეკრულებით“** ნაკისრი ვალდებულების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.13 **,,შემსყიდველი”** ნიშნავს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.14 **,,მიმწოდებელი“** ნიშნავს პირს, რომელმაც **„შემსყიდველ“** ორგანიზაციასთან დადო **„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება”.**

1.15 **„მხარე“** - „შემსყიდველი” ან „მიმწოდებელი“.

1.16 **„მხარეები“** - „შემსყიდველი” და „მიმწოდებელი“.

1.17 **„CPV კოდი“** - შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით გათვალისწინებული კლასიფიკატორის 8-ნიშნა კოდი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საგანია „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებელისაგან“ „ხელშეკრულების ღირებულების“ ფარგლებში: **CPV 45300000 „სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების“ სახელმწიფო შესყიდვა,** წინამდებარე „ხელშეკრულებითა“ და „ხელშეკრულების“ ფასების ცხრილის შესაბამისად.

2.2. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულების ღირებულება“ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობებით.

მუხლი 3. სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადა

3.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „სამუშოების“ შესრულება უზრუნველყოს „მხარეების“ „ხელშეკრულებაზე“ „ელექტრონულად ხემოწერის“ მომენტიდან - არაუგვიანეს **2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით.**

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. „ხელშეკრულების ღირებულება“ შეადგენს: **1187,50 (ათას ას ოთხმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს** (შემდეგში „ღირებულება“), **დღგ-ს ჩათვლით**. ერთეულის „სამუშაოს“ „ღირებულება“ განისაზღვრება წინამდებარე „ხელშეკრულებითა“ და „ხელშეკრულების“ ფასების ცხრილის შესაბამისად.

4.2. ამ „ხელშეკრულების“ 4.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული „სამშენებლო სამუშოების“ ერთეულის ფასი და საერთო „ღირებულება“ შეიცავს „მიმწოდებელის“ ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს „სამუშოების“ შესრულებასთან და „შემსყიდველის“ საკუთრებაში გადაცემასთან, ასევე კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3. წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება „ხელშეკრულების ღირებულება“, ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1. **საბოლოო ,,სახელშეკრულებო“ თანხის ანგარიშსწორება** განხორციელდება „ხელშეკრლებისა“ შესაბამისად, მხარეებს შორის „ელექტრონულად ხელმოწერილი“ მიღება-ჩაბარების აქტისა და მასზედ წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგომ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.3. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

5.4. „ხელშეკრულების ღირებულების“ შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ „მხარეთა“ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ერთ-ერთი „მხარის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული „მხარე“ დაზარალებულ „მხარეს“ აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო „ხელშეკრულების“ საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის ოდენობით.

6.4. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების 0,02%-ის ოდენობით.

6.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.6. „მიმწოდებელის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება „ხელშეკრულების“ სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.6.1. თუ „შემსყიდველი“ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს „მიმწოდებელს“ მიღებული გადაწყვეტილება, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.7. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მხარეებს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. სამშენებლო სამუშოების ხარისხი და საგარანტიო ვადები

7.1. „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს შესრულებული „სამუშაოების“ ხარისხზე „ხელშეკრულებითა“ და „ხელშეკრულების“ ფასების ცხრილის შესაბამისად.

7.2. შესრულებული „სამუშაოს“ ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი.

7.3. სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, „მიმწოდებელი“ ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

მუხლი 8. სამშენებლოს სამუშაოების შესრულების და მიღება-ჩაბარების წესი

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „სამშენებლო სამუშაოების“ შესრულება უზრუნველყოს საქართველო, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N19, 17-23 -ში მდებარე უნივერსიტეტის 1 კორპუსში.

8.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „სამუშოების“ მიმდინარეობის პერიოდში სრულად დაიცავს და იხელმძღვანელოს, საქართველოს კანონის "შრომის უსაფრთხოების შესახებ" შესაბამისად.

8.3. „სამუშაოების“ შესრულების მთელ პერიოდში, „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმების განუხრელი შესრულება.

8.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა გარემოზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სახსრებით უნდა მოაწყოს დამცავი ბარიერები შემსყიდველთან შეთანხმებით.

8.5. „სამუშაოების“ მიმდინარეობის პროცესში დემონტირებული მასალების დასაწყობება „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ მითითებულ მისამართზე.

8.6. „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისაგან.

8.7. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი სახსრებით აღადგინოს სამუშაოების წარმოების პროცესში მისი მიზეზით დაზიანებული ინფრასტრუქტურა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.8. „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს შეათანხმოს „შემსყიდველთან“ და გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს გაწეული/ჩატარებული სამუშაოები.

8.9. „სამუშაოების“ შესრულება „შემსყიდველს“ და „მიმწოდებელს“ შორის დასტურდება „ელექტრონულად ხელმოწერილი“ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტონული შტამპით.

8.10. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) შესრულებულ „სამუშოზე“. ასეთ შემთხვევაში „შემსყიდველი“ თავისუფლდება „ხელშეკრულების ღირებულების“ გადახდის ვალდებულებისაგან.

8.11. „მიმწოდებელის“ მიერ შესასრულებულ „სამუშაოზე“ ან უკვე შესრულებულ „სამუშოზე“ კონტროლი ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე რისთვისაც გამოიყოფა უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

8.12. წინამდებარე „ხელშეკრულების“ მე-8 მუხლის, 8.3 პუნქტის მიზნებისთვის, „მიმწოდებელის“ მიერ გასაწევ „მომსახურებაზე“ ან უკვე გაწეულ „მომსახურებაზე“ კონტროლის განმახორციელებელი პირია სსიპ ,,საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის” **სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელი ბიჭიკო ნიკვაშვილი პ/ნ 01017031942**.

8.13. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის ან/და ხარვეზებ(ებ)ის აღმოფხვრა/გამოსწორება მისთვის „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „სამშენებლო სამუშოს“ შესრულების, ვადის ფარგლებში, ამ მიზეზით ვადის გახანგრძლივების გარეშე.

8.14. „ხელშეკრულების“ შესრულების პირობების კონტროლის მიზნით „შემსყიდველი“ უფლებამოსილია გამოიყენოს სხვადასხვა სახის საშუალებები, ამასთან, კონტროლის განხორციელებისას ხელი არ უნდა შეუშალოს „მიმწოდებელს“ „მომსახურების“ გაწევაში.

მუხლი 9. მხარეთა უფლება - ვალდებულებები

9.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეუსრულოს „შემსყიდველს“ ამ „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლში მითითებული „სამშენებლო სამუშაო“, განიხილოს „შემსყიდველის“ პრეტენზიები და მიაწოდოს არგუმენტირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხზე.

9.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია დროულად აცნობოს „მიმწოდებელს“ „სამუშოების“ შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ და დროულად გადაიხადოს „ხელშეკრულების ღირებულება“.

9.3. „ხელშეკრულების“ ვადის ამოწურვა არ ათავისუფლებს „მხარეებს“ ამ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისგან და არ აუქმებს „მხარეთა“ შეთანხმებულ პასუხისმგებლობის ზომებს.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე „ხელშეკრულებისათვის“ ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს „მხარეებისათვის“ გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „მიმწოდებელის“ და/ან „შემსყიდველის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2. „ხელშეკრულების“ დამდები რომელიმე მხარის მიერ „ხელშეკრულების“ პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ „ხელშეკრულების“ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.3. ფორს-მაჟორული მდგომარეობის 10 (ათი) დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ „ხელშეკრულება“, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე „მხარეს“.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

11.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის „მხარეების“ „ხელშეკრულებაზე“ „ელექტრონულად ხემოწერის“ შემდგომ და მოქმედებს „მხარეთა“ მიერ ამ „ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს **2019 წლის 02 სექტემბრისა.**

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1. „მხარეთა“ შორის სადავო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

12.2. „ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, „მხარეთა“ ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების შეთანხმების საფუძველზე.

12.3. „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე „ხელშეკრულება“ ცალმხრივად, თუ მეორე „მხარე“ ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4. იურიდიული მისამართის, საბანკო რეკვიზიტების, ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის, საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, საიდენტიფიკაციო ნომრის შეცვლის შემთხვევაში „მხარეები“ ვალდებულები არიან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

12.5. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად (ელექტრონული დოკუმენტი), დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტონული შტამპით.

მუხლი 13. მხარეთა იურიდიული მისამართი, რეკვიზიტები მისამართი და ელექტრონული ხელმოწერა

,,შემსყიდველი“	**სსიპ ,,საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“**	,,მიმწოდებელი”	**ი.მ. რეზო ღუღუნიშვილი**
საიდენტიფიკაციო კოდი:	203851028	საიდენტიფიკაციო კოდი:	54001018975
მისამართი:	ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N19	მისამართი:	ჭიათურა, ს. ხალიფაური
ტელეფონი:	0322 999 411	ტელეფონი:	
ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა	ბანკი:	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი (მფო):	TRESGE22	ბანკის კოდი (მფო):	TBCBGE22
ანგარიშის N:	200122900	ანგარიშის N:	GE25 TB72 8264 5064 3000 10

რუსუდან თევზაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მამოუყენებელია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

რეზო ღუღუნიშვილი

დირექტორი

მამოუყენებელია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა / ელექტრონული შტამპი

2019 წლის N07/025 „ხელშეკრულების“ ფასების ცხრილი

N	სამშენებლო სამუშოების დასახელება	სამშენებლო სამუშოების ერთეულის ფასი	სამშენებლო სამუშოების ჯამური ღირებულება	CPV
1	ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები	287.50	287.50	45310000
2	გათბობისა და შენობის სხვა ელექტრომოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები	500.00	500.00	45315000
3	საიზოლაციო სამუშაოები	400.00	400.00	45320000
4	**სულ:**			**1187.50**

განცხადება

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს ინტერესთა კონფლიქტი „სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების“ სახელმწიფო შესყიდვაზე მიმწოდებელთან: **ი.მ. რეზო ღუღუნიშვილი** ს/ნ 54001018975.

რუსუდან თევზაძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა

ნანა მეზვრიშვილი
შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა